კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

## 2026 წლის თვითმმართველობის ნთვის ანგარიში

# კორპორატიული ღონისძიების ორგანიზება საახალწლო ღონისძიება

- კოლეჯი ამაგის თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა კორპორატიული საახალწლო საღამო.
- თვითმმართველობის ინიციატივით მოეწყო საღამო, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს საცეკვაო და მუსიკალური ნომრები.
- კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ დიპლომები.

# სტომატოლოგთა დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქტივობა

- ღონისძიების ფარგლებში აღინიშნა პროფესიის მნიშვნელობა, თანამედროვე სტომატოლოგიის როლი და სამომავლო განვითარების პერსპექტივები.
- მონაწილე და აქტიურ პროფესიულ სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები მათი ჩართულობისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერისათვის.

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

შიში თუ ფობია?
შიში

# სამკურნალწამლო ფორმების ევოლუციის გზები და მომავლის პერსპექტივები

- ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ 2024 წელს ჩარიცხული ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული პროგრამის სტუდენტები.
- კოლეჯი მადლობას უხდის ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს, თამარ ელიკაშვილს, ღონისძიების ორგანიზებისთვის.

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

# ვეტერინარიის სტუდენტების შემეცნებითი ექსკურსია

- შპს „ინვეტში“ სტუდენტები გაეცნენ ცხოველთა და ფრინველთა საკვების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს, პროცესებსა და ინოვაციურ მიდგომებს.
- ექსკურსია გაგრძელდა მცხეთაში, სადაც მათ მოინახულეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენების ფერმა. სტუდენტებმა ადგილზე შეისწავლეს მათი მოვლისა და შენახვის პრაქტიკული ასპექტები.
- მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას და პროფესიული უნარების განვითარებას.

MYSILO

# პროფესიული პროგრამის პოპულარიზაცია სკოლებში

- საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგს“ სტუმრობდნენ ქალაქ გორის მეცნიერებათა სკოლის მე-5 კლასისა და პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები.
- ვიზიტის ფარგლებში, მოსწავლეებმა დეტალურად გაეცნენ კოლეჯში არსებულ სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც მათ დაეხმარებათ მომავალი პროფესიის არჩევაში. მათ ასევე საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ  დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებს, დასვეს კითხვები და მონაწილეობა მიიღეს საინტერესო პრაქტიკულ ცდებში კოლეჯის  ლაბორატორიაში.

COLLEGE RMAGI

# ფარმაციის სტუდენტების შემეცნებითი ექსკურსია

- სტუდენტები იმყოფებოდნენ კომპანია „ავერსის“ ქარხანაში, სადაც გაეცნენ თანამედროვე საწარმოო პროცესებს, ხარისხის კონტროლის სტანდარტებსა და ფარმაცევტული სფეროს პრაქტიკულ ასპექტებს.
- ✅ ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა ასევე დაათვალიერეს თბილისის ბოტანიკური ბაღი, სადაც ბუნების მრავალფეროვნებასა და ეკოლოგიური გარემოს მნიშვნელობას გაეცნენ.
- ↗️ ექსკურსიის  დასასრულს მოინახულეს მცხეთის ჯვრის მონასტერი — ქართული კულტურისა და ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი.
- ‼️კოლეჯი ამაგი აქტიურად უწყობს ხელს  პროფესიულ სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში, პროფესიული ხედვის გაფართოებასა და კულტურულ-შემეცნებითი გამოცდილების მიღებაში.

# ექთნის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიება

- პროფესიულმა სტუდენტებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საინტერესო და აქტუალური თემები, რომლებიც შეეხებოდა ჯანმრთელობის დაცვის, პაციენტზე ზრუნვისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საკითხებს.
- ღონისხიების დასასრულს მომავალ ექთნებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა პროგრამის ხელმძღვანელმა ქალბატონმა თინათის განჯელაშვილმა გულსაკიდი , რათა მუდამ ახსოვდეთ მომავალ ექთნებს მათი მთავარი დანიშნულება ადამიანებზე ზრუნვა.

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

# მასაჟის სტუდენტების შემეცნებითი ექსკურსია

- სტუდენტები იმყოფებოდნენ წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტი-ის თერმული წყლების სარეაბილიტაციო ცენტრში.
- ვიზიტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები ადგილზე გაეცნენ ბალნეოთერაპიის მნიშვნელობას, სამკურნალო პროცედურებსა და რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდებს, რაც მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილებაა მათი პროფესიული განვითარებისათვის.
- შემეცნებითი ტურის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა ასევე მოინახულეს ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი, სადაც ახლოდან გაეცნენ ქართველი მწერლის ცხოვრებასა და მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობას.
- პროფესიული  სტუდენტები ასევე იმყოფებოდნენ მოწამეთას მონასტერიში და ბაგრატის ტაძარიში, სადაც დაათვალიერეს საქართველოს გამორჩეული ისტორიულ-კულტურული ძეგლები.

# ჰუმანიტარული აქცია აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის

- აქციაში აქტიურად ჩაერთნენ კოლეჯ „ამაგის“ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც კიდევ ერთხელ გამოხატეს თანადგომა და სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ, რომელთაც ჩვენი თანადგომა და ყურადღება ჭირდებათ.